საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

№ 07-02/15139
„24" 12 2007

საქართველოს საგარეო საქმეთა
მინისტრის პირველ მოადგილეს
ბატონ ნიკოლოზ ვაშაკიძეს

ბატონო ნიკოლოზ,

დეპონირებისათვის გიგზავნით 2007 წლის 20 დეკემბერს საქართველოსა და მსოფლიო ბანკის განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის ხელმოწერილ "აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მეორე პროექტი"-ს დაფინანსების ხელშეკრულების ორიგინალს და მის არაოფიციალურ ქართულ თარგმანს.

ამასთანავე გთხოვთ, უზრუნველყოთ "აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მეორე პროექტი"-ს დაფინანსების ხელშეკრულების ძალაში შესვლისათვის საჭირო პროცედურების განხორციელება.

ამასთან გაცნობებთ, რომ „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მეორე პროექტი"-ს დაფინანსების ხელშეკრულების მიმართ ფინანსთა სამინისტროს ფინანსური ხასიათის შენიშვნები არ გააჩნია. სავარაუდოა, რომ აღნიშნული პროექტი საფინანსო-ეკონომიკური თვალსაზრისით დადებით შედეგს მოიტანს.

დანართი:

1. „საქართველოსა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის ხელშეკრულების ხელმოწერის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 13 დეკემბრის №738 განკარგულების ასლი;
2. „ნ. გილაურისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 13 დეკემბრის №686 ბრძანებულების ასლი;
3. „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მეორე პროექტი"-ს დაფინანსების ხელშეკრულების ხელმოწერილი ორიგინალი ინგლისურ ენაზე და მისი არაოფიციალური ქართული თარგმანი;
4. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წერილის ასლი (№26/3683/3-7 16.11.2007წ);
5. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის წერილის ასლი (№06-06/4781 14.11.2007წ);
6. იუსტიციის სამინისტროს წერილის ასლი(№01/23/13-9910 14.11.2007წ.);
7. ეროვნული ბანკის წერილის ასლი (№330/03 14.11.2007წ);
8. შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილის ასლი (№6/7/8-4470 15.11.2007წ);
9. საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილის (№2/18984-43 14.11.2007წ) და დასკვნის (№709/14 14.11.2007წ.) ასლები.
10. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კომენტარები წარმოდგენილ შენიშვნებთან დაკავშირებით

პატივისცემით,

დიმიტრი გვინდაძე
მინისტრის მოადგილე

24760/2-8
24-12-2007

# საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

№ 6/718-4470

„15" 11 2007 წ

16.11.07

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს ბატონ დიმიტრი გვინდაძეს

ბატონო დიმიტრი,

თქვენი 12 ნოემბრის № 07-02/13536 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ განიხილა დაფინანსების ხელშეკრულების პროექტი საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის ("აღმოსავლეთ - დასავლეთის ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მეორე პროექტი"), რაზეც შენიშვნები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

ეკატერინე ზღულაძე
მინისტრის მოადგილე

4959
16.11.07

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
№ 32109-3
„16" 11 2007
ფურცლის რაოდენობა

0114, თბილისი, გ. გულუას ქ. 10, ტელ: (+995 32) 272883, ფაქსი: (+995 32) 272963, ელ.ფოსტა: info@pol.ge

# საქართველო

**საგარეო საქმეთა სამინისტრო**

№ 2/18984-43

„14" 11 2007

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

თქვენი 2007 წლის 12 ნოემბრის № 07-02/13536 წერილის პასუხად გიგზავნით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დასკვნას „საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის დაფინანსების ხელშეკრულების (აღმოსავლეთ-დასავლეთი ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მეორე პროექტი)" პროექტზე.

დანართი: 1 გვ.

საერთაშორისო ეკონომიკურ, კულტურულ და ჰუმანიტარულ ურთიერთობათ დეპარტამენტის დირექტორი

ვასილ ბაბუნაშვილი

4975
19 11.07

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
№ 32000-3
„15" 11 2007
შემოსვლის რეგისტრაცია

0118 თბილისი, შ. ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (995 32) 284648; ფაქსი: (995 32) 284678
www. mfa.gov.ge

# საქართველო

**საგარეო საქმეთა სამინისტრო**

№709/14

14. 11 2007

## დასკვნა

„საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის დაფინანსების ხელშეკრულების (აღმოსავლეთ-დასავლეთი ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მეორე პროექტი)" პროექტზე

სამინისტრომ განიხილა „საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის დაფინანსების ხელშეკრულების (აღმოსავლეთ-დასავლეთი ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მეორე პროექტი)" პროექტი და ქვეყნის საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, წარმოდგენილი შეთანხმების დადება.

მინისტრის მოადგილე — კახაბერ ჩიქოვანი

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (995 32) 284648; ფაქსი: (995 32) 284678
www. mfa.gov.ge